პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 2 (9093)
4 იანვარი,
შაბათი,
1986 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

დისკუსია

სტუდენტთა სპორტი აბიტურიენტის როლში

სტუდენტი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა. სტუდენტური სპორტი — აი, ეს არის ჩვენი დღევანდელი დიალოგის ძირითადი თემა. „ლელოს“ მრგვალი მაგიდის სტუმრები არიან საქართველოს პროფსაბჭოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე **ვაჟა ქურდიანი**, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსი **დავით ბაინდურაშვილი**, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ნუგზარ ერაძე**, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი **ომარ გოგიაშვილი**, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგეები **რობერტ შავლაყაძე** და **გიზო დოლიძე**. საუბარს უძღვება „ლელოს“ რედაქციის განყოფილების გამგე **ელგუჯა ბერიშვილი**.

⊙ რედაქციას მიაჩნია, რომ საკითხები, რომელთა შესახებაც დღეს უნდა ვისაუბროთ, უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტუალურია. სტუდენტურ სპორტში არსებული ვითარების შემოწმების შედეგები, სტატისტიკური და სხვა მასალები, სამწუხაროდ, მაინცდამაინც სახარბიელო სურათს ვერ გვიხატავენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ სტუდენტთა შორის მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ცალმხრივობა, ფორმალობა, უსისტემობა, მართვაში არსებული წინააღმდეგობანი. აქ ალბათ უნდა გავიხსენოთ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1984 წლის 21 იანვრის კრებაზე ნათქვამი სიტყვები: „სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს შეუთანხმებლობა სტუდენტური სპორტის ხელმძღვანელობაში, რომელსაც სხვადასხვა სასწავლებელში ახორციელებენ პროფსაბჭო, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, კულტურის სამინისტრო, ჯანმრთელობის სამინისტრო, „ბურევესტნიკი“. ეს პრობლემა მთლიანად ძალაში რჩება, თუ გადაიდგა რაღაც კონკრეტული ნაბიჯები?

დავით ბაინდურაშვილი: ვიდრე სტუდენტური ფიზკულტურა და სპორტი რამდენიმე ორგანიზაციის საზრუნავი იქნება, ალბათ ყოველთვის იარსებებს უწყებრივი დაბრკოლებები. ჩვენი მიზანი უნდა იყოს, რაც შეიძლება მჭიდრო კონტაქტი დავამყაროთ ერთმანეთს შორის და რაც შეიძლება შევამციროთ უწყებრივი კონფლიქტები. შემიძლია თამამად ვთქვა — და ამაში, ვფიქრობ, აქ მსხდომნიც დამეთანხმებიან, — აქტივის კრების შემდეგ იგრძნობა საერთო საქმისადმი სწორედ კოლეგიალური, ნამდვილად დაინტერესებული დამოკიდებულება. ყოველ შემთხვევაში, იგრძნობა მისწრაფება ასეთი დამოკიდებულების შექმნისაკენ. მაგრამ ჯერჯერობით სტუდენტური სპორტის ხელმძღვანელობაში სრული თანხმობა და ურთიერთგაგება მაინც არ სუფევს. მე აქ პირად ურთიერთობებს არ ვგულისხმობ, თუმცა ეს ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია. მე ვლაპარაკობ ცალკეულ რგოლებს შორის არსებულ გათიშულობაზე, რაც, საბოლოო ანგარიშით, მიზანმიმართული მუშაობის საშუალებას არ იძლევა. ერთი სიტყვით, უნდა მოიძებნოს მართვის ერთიანი ფორმა, რაღაც ახალი ბერკეტი. ჩვენს განყოფილებას, მაგალითად, მიზანშეწონილად მიაჩნია შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო ან ცენტრი. იგი გააერთიანებს იმ სამინისტროების წარმომადგენლებს, რომელთაც უწყებრივად ექვემდებარება ცალკეული უმაღლესი სასწავლებელი და ტექნიკუმი. ამ საქმის მოგვარება ძნელი როდია, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც უფრო მაღალ დონეზე უნდა გადაწყდეს. მაგალითად, ის საკითხები, უშუალოდ სტუდენტურ სპორტს რომ ეხება.

ჩვენი განყოფილება, როგორც მისი სახელწოდება მიგვანიშნებს, ძირითადად რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა ფიზიკურ აღზრდას უძღვება. მაგრამ ჩვენ, ცხადია, გულგრილი ვერ ვიქნებით სტუდენტური სპორტის მიმართ. სტუდენტური სპორტი კი, თავის მხრივ, მოგეხსენებათ, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ სისხლხორცეული საქმეა. ამ ბოლო წლებში „ბურევესტნიკმა“ საგრძნობლად რომ გააძლიერა მუშაობა, ამას ყველა კარგად ვხედავთ, მაგრამ სტუდენტური სპორტი ჯერ კიდევ არ დგას მყარ საფუძველზე. საბოლოოდ მაინც ვერ გავერკვიეთ, ვის რა მოეთხოვება, ვინ რომელ უბანზე უნდა აგოს პასუხი.

რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენთა უმრავლესობა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს, მაგრამ არ ხერხდება ამ სასწავლებლების კედლებშივე მათი შემდგომი სპორტული დაოსტატების უზრუნველყოფა. საქმე ის არის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში უკიდურესად შეზღუდულია დაოსტატების ჯგუფების საათობრივი განაკვეთი, ადგილებზე არ არის შესაფერისი სპორტული ბაზები და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არა გვყავს კვალიფიციური სპეციალისტები სპორტის ცალკეულ სახეობებში, ისეთი მუშაკები, რომელთაც შეეძლიათ აკადემიური მეცადინეობებიც ჩაატარონ და პარალელურად სპორტულ ჯგუფებსაც გაუძღვნენ. მოკლედ, თუ ობიექტურად ვილაპარაკებთ, ჩვენი უმაღლესი სკოლა სტუდენტ სპორტსმენს ვარჯიშისა და დაოსტატების პირობებს ვერ უქმნის. მაშ სად არის გამოსავალი? იქნებ გვეფიქრა რეგიონალური პრინციპით სტუდენტური სპორტული დაოსტატების სკოლების გახსნაზე? თუ ამ საქმეს თავს მოვაბამთ (საამისო ობიექტური საფუძვლები ნამდვილად არსებობს), მაშინ ერთდროულად რამდენიმე პრობლემა გადაიჭრება. ეს საქმე, ცხადია „ბურევესტნიკმა“ უნდა იკისროს და მას ყველანი უნდა ამოვუდგეთ მხარში. თავის დროზე ამ საზოგადოებამ ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების გასახსნელად დიდი თანხა გაიღო და ეს მისასალმებელია. არც ის იქნება ურიგო, თუ სტუდენტ სპორტსმენებსაც ჩავაბამთ რეგულარულ საწვრთნელ მეცადინეობაში. მით უმეტეს, სპორტსაზოგადოება ფინანსურად საგრძნობლად მომძლავრდა.

ომარ გოგიაშვილი: თქვენ ალბათ იმ სტუდენტებს გულისხმობთ, რომლებიც რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში არ არიან. ძლიერ სპორტსმენებს, რესპუბლიკური და საკავშირო გუნდების წევრებსა და კანდიდატებს ჩვენ ნაკლებად ვჭირდებით. იმათ ისედაც ბევრი პატრონი ჰყავთ. დანარჩენებს კი ყურადღება აკლიათ. მაგალითად, ჩვენი ინსტიტუტის დღის სწავლების 650 სტუდენტიდან 200-ზე მეტი საქართველოს ნაკრებ გუნდებში გამოდის. დანარჩენებს რა ვუყოთ, სად ვავარჯიშოთ, რომელ შეჯიბრებაში გამოვიყვანოთ? ჩვენი ინსტიტუტი მაინც სპეციფიკური სასწავლებელია; სპორტული ოსტატობის ამაღლება, საერთო ფიზიკური მომზადება თვით სასწავლო პროგრამაში შედის. სხვა სასწავლებლებში კი, ეტყობა, პრობლემა მთელი სიმწვავით დგას. რამდენადაც ვიცი, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ყოველწლიურად ათასამდე აბიტურიენტი ირიცხება ეგრეთ წოდებული „სპორტული სიით“. მაშასადამე, ჩვენ გვყავს ხუთი ათასამდე ამ კატეგორიის სტუდენტი სპორტსმენი. ბუნებრი-

იხ. მე.2-3 გვ.

უთოვლოდ შემოაბიჯა თბილისში ახალმა წელმა, მაგრამ ამან სულაც ვერ განელა საზეიმო განწყობილება.

ათასფრად მორთულ-მოკაზმულ ნაძვის ხეებზე გვეპატიჟებიან ფიფქია და თოვლის პაპა.

ერთ-ერთი ასეთი დიდი ზეიმის მასპინძელია თბილისის სპორტის სასახლე. აქ ბავშვები შეხვდებიან თავიანთ საყვარელ ზღაპრის გმირებს.

მხატვრულ განყოფილებასთან ერთად, ცხადია, დიდი ადგილი ეთმობა სპორტულ გამოსვლებს. მაყურებლები ინტერესით ადევნებენ თვალს ნორჩი ძალოსნების, მოჭიდავეების, ფეხბურთელებისა და სხვათა შეჯიბრებებს. შემდეგ კი თვითონაც გადადიან მოედანზე და „ვარჯიშს“ იწყებენ.

ნორჩების ზეიმი რვა იანვრამდე გასტანს.

ჭადრაკი

„ოსკარი“ გარი კასპაროვს

ზაგრების (იუგოსლავია) გაზეთ „ვესტნიკის“ ტრადიციული საახალწლო ანკეტის შედეგების მიხედვით „ჭადრაკის ოსკარი“ წილად ხვდა მსოფლიო ჩემპიონს გარი კასპაროვს. ეს პრიზი მან მეორედ დაიმსახურა.

ანკეტის მონაცემებით მსოფლიოს 1985 წლის უძლიერეს მოჭადრაკეთა ათეულში მოხვდნენ აგრეთვე საბჭოთა დიდოსტატები: ანატოლი კარპოვი, არტურ იუსუპოვი, რაფაელ ვაგანიანი, ანდრეი სოკოლოვი და მიხეილ ტალი.

მაია ჩიბურდანიძის მონაწილეობით

9 იანვარს იუგოსლავიის ქალაქ იაიცეში დაიწყება მოჭადრაკე ქალთა ტრადიციული, V საერთაშორისო ტურნირი. ამ შეჯიბრებაში პირველი პრიზი მოუპოვებიათ ჩვენს დიდოსტატებს მსოფლიოს ექსჩემპიონს, სსრ კავშირის ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს, ნანა ალექსანდრიასა და ნანა იოსელიანს. ამჯერად ტურნირში მიწვეული არიან მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და დიდოსტატი ელენა ახმილოვსკაია.

როგორც ცნობილი გახდა, იაიცეს ტურნირში 14 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის იქნებიან დიდოსტატები ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩი (უნგრეთი), ტერეზა შტადლერი (იუგოსლავია), ტატიანა ლემაჩკო (შვეიცარია), ალექსანდრა ვან დერ მიიე (ჰოლანდია), ხანა ერენსკა-რაძევსკა (პოლონეთი), საერთაშორისო ოსტატები ვლასტა მაჩეკი (იუგოსლავია), მალგოჟატა ვიზე (პოლონეთი), დანა ნუცუ (რუმინეთი), მარია ვოისკა (ბულგარეთი) და სხვები.

ტურნირი 29 იანვრამდე გასტანს.

ჯერ დაუგავპილსში...

გუშინ ლატვიის ქალაქ დაუგავპილსში დაიწყო ნორჩ მოჭადრაკეთა (1968-1972 წლებში დაბადებულთა) საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. შეჯიბრებაში საქართველოდან მონაწილეობენ ლაშა ჯანჯღავა, იანის პოპოვი, დავით ლობჟანიძე (ყველა — თბილისი) და სანდრო დგებუაძე (ზუგდიდი).

მოჭადრაკე გოგონათა საკავშირო ჩემპიონატი 23 იანვრიდან სოჭში გაიმართება. აქ ბრძოლაში ჩაებმებიან ცირა მერეკლიშვილი, ნათია წკეპლაძე, ნათია ჯანჯღავა (ყველა — თბილისი), ქეთევან კახიანი (გარდაბანი) და სოფიკო ნიკოლაძე (ქუთაისი).

ფიდე-მ გამოაცხადა

ახალი, 1986 წლის პირველ დღეს ლუცერნში (შვეიცარია) ფიდე-ს სამდივნომ გამოაცხადა მსოფლიოს მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა უძლიერესი ათეულები 1985 წლის მეორე ნახევარში გამართული შეჯიბრებების შედეგების მიხედვით.

აი, ლაურეატები:

1. მაია ჩიბურდანიძე 2455, 2-3. პია კრამლინგი (შვეცია), ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) 2400-2400, 4. ნონა გაფრინდაშვილი 2350, 5. ირინა ლევიტინა 2340, 6-7. ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი 2310-2310, 8. ელენა ახმილოვსკაია 2305, 9. მარტა ლიტინსკაია 2275, 10-12. ლიდია სემიონოვა, ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩი (უნგრეთი), ლუდმილა ზაიცევა 2260-2260.

1. გარი კასპაროვი 2720, 2. ანატოლი კარპოვი 2700, 3-5. იან ტიმანი (ჰოლანდია), რაფაელ ვაგანიანი, არტურ იუსუპოვი 2645-2645, 6. ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია) — 2635, 7-8. ალექსანდრე ბელიავსკი, რობერტ ჰიუბნერი (გფრ) 2625-2625, 9-11. ენტონი მაილსი (ინგლისი), ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), ბორის სპასკი 2610-2610.

საუკეთესო მინიატურა

ჟურნალმა „64-შახმატნოე ობოზრენიემ“ ამას წინათ შეაჯამა 1984 წელს მის მიერვე გამოცხადებული ეტიუდისტთა და ამოცანების ავტორთა კონკურსი.

ეტიუდისტთა კონკურსში, რომელშიც 32 ავტორის 31 ეტიუდი მონაწილეობდა, I პრიზი წილად ხვდა საერთაშორისო ოსტატის ველიმირ კალანდაძის (თბილისი) ნამუშევარს. შეჯიბრების მსაჯი ვ. ხორტოვი წერს, რომ „ეს არის საინტერესო მინიატურა მანევრული თამაშით და მკაფიო, ნატიფი სვლებით“.

დაჯილდოებულთა შორის არის დიდოსტატ გია ნადარეიშვილის ეტიუდიც, რომელსაც წილად ხვდა საქები შეთასხება.

სპარტაკელები მადლობელნი არიან

წერილი მოსკოვიდან

სპორტის მოყვარულებს კარგად ახსოვთ, რომ უეფა-ს თასზე მოსკოვის „სპარტაკისა“ და საფრანგეთის „ნანტის“ ფეხბურთელთა მატჩის შემდეგ, რომელიც თბილისში გაიმართა შარშან 27 ნოემბერს, სპარტაკელთა უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კ. ბესკოვმა გაზეთ „სოვეტსკი სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა თბილისის „დინამოს“ სტადიონის ფეხბურთის სათამაშო მინდვრის უხარისხობა, როგორც მატჩისწინა მოსამზადებელ პერიოდში, ისე უშუალოდ თა-

ამ დღეებში საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის რ. გოგლიძის სახელზე საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოდან სახელმწიფო მწვრთნელის, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ა. პარამონოვის ხელმოწერით მოვიდა განმარტებითი ბარათი. ა. პარამონოვი იტყობინება, რომ სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობის განკარგულებით ესაუბრნენ კ. ბესკოვს. კ. ბესკოვმა განაცხადა, რომ მას არ ჰქონია განზრახული, რაიმე წყენა მიეყენ-

თვის, მან მხოლოდ კონსტატაცია გაუკეთა საფეხბურთო მინდვრის მდგომარეობას აღნიშნული მომენტისთვის ამინდის პირობების გათვალისწინებით. კ. ბესკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს სპორტკომიტეტი ყოველთვის ანგარიშს უწევს მოსკოვის სპარტაკელებს, დროულად უთმობს თავის სპორტულ ბაზებს ოფიციალური შეხვედრებისთვის მოსამზადებელ პერიოდშიც და თვით ამ თამაშების ჩატარების დროსაც, რისთვისაც სპარტაკელები გული-

სტუდენტთა სპორტი აბიტურიენტის რო

(დასასრული)

ვია, ყველა ვერ მოხვდება ნაკრებ გუნდებში. ყველა კი არა, უმრავლესობა აქტიური სპორტის მიღმა რჩება, თუ, რა თქმა უნდა, სტუდენტური სპორტული ცხოვრება მიძინებულია. ჩვენთან სტუდენტური სპორტი კარგა ხანს მართლაც მიძინებული იყო. ახლა, შეიძლება ითქვას, გამოცოცხლდა, მაგრამ იმისთვის, რომ საბოლოოდ გაიმართოს წელში და ფეხზე დადგეს, კიდევ ბევრი მუშაობა გვმართებს.

კონკრეტულად? ერთზე ახლავე მოგახსენებთ. აუცილებელია სტუდენტურ სპორტულ შეჯიბრებათა სტაბილური კალენდარი, რომელსაც, პირველ ყოვლისა, მასობრივი პირველობები და ტურნირები დაედება საფუძვლად. უკვე მეორედ ჩატარდა სტუდენტთა რესპუბლიკური უნივერსიადა, რომელიც ამიერიდან სისტემატურად მოეწყობა. ეს ძალიან კარგია, მით უმეტეს, რომ რესპუბლიკის „უნივერსიადის" სარბიელზე ბურევესტნიკელებთან ერთად პირველად გამოვიდნენ დანარჩენ სპორტსაზოგადოებათა სტუდენტი სპორტსმენები. მაგრამ ამავე დროს ჩვენ გვჭირდება მრავალტურიანი საქალაქო და რესპუბლიკური შეჯიბრებები, რომლებიც მთელი სასწავლო წლის მანძილზე გაგრძელდება. ერთობლივ კალენდარში უნდა აისახოს ცალკეული რგოლების ინტერესები და, ცხადია, გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილებზე არსებული შესაძლებლობები, ტრადიცია, სპორტსმენთა კონტინგენტი. ამით უთუოდ დიდ საქმეს გავაკეთებთ — კვლავ სპორტისკენ მოვაბრუნებთ ნაკრების გუნდების მიღმა დარჩენილ, მაგრამ ნიჭიერ და სპორტისთვის საჭირო ახალგაზრდობას, საწვრთნელ მეცადინეობაში ჩავაბამთ სტუდენტთა ფართო მასებს, ავამაღლებთ სასწავლებლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას, გავზრდით ინტერესს... ჩემი თაობის ხალხს კარგად ახსოვს, რა ჯანსაღი სპორტული აჟიოტაჟი იყო თბილისში, როცა ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების გუნდები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ისიც გავიხსენოთ, რომ ზოგიერთ სასწავლებელს ოთხი-ხუთი გუნდი გამოჰყავდა პირველობაზე. ეს ტურნირები სტუდენტური სპორტის დღესასწაული იყო. ვერაფრით ვერ დავიჯერებ, რომ მაშინ ჩვენს სასწავლებლებს უკეთესი პირობები ჰქონდათ სპორტის განვითარებისათვის.

აქ უკვე ითქვა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" ორგანიზაციული და ფინანსური განმტკიცების შესახებ. ეს, რა თქმა უნდა, საქართველოს პროფსაბჭოს, სპორტკომიტეტის, ამ საზოგადოების ხელმძღვანელობის დიდი დამსახურებაა. ახლა საჭიროა ჩვენს ხელთ არსებული ძალები და მატერიალური რესურსები ოპტიმალურად გამოვიყენოთ სტუდენტური სპორტის აღორძინებისთვის. ჩემი აზრით, თვით უმაღლეს სასწავლებლებს, თუ რექტორატები დაინტერესდებიან, დიდი შესაძლებლობა აქვთ სტუდენტური სპორტული ცხოვრების გამოცოცხლებისთვის.

● **მოდით, აქვე დავაზუსტოთ ერთი საკითხი: სტუდენტური და დიდი სპორტი იდენტური ცნებებია, თუ სტუდენტური სპორტი რაღაც საშუალედო საფეხურზე დგას?.. როგორც ჩანს, არსებობს მასობრივი სტუდენტური სპორტი და არსებობს აგრეთვე სტუდენტური სპორტის უფრო მაღალი ფორმა, რომელიც თავისთავად დიდ სპორტს გულისხმობს. საკავშირო ჩემპიონატებსა და პირველობებში მოასპარეზე ყველა გუნდი დიდი სპორტის გუნდია. სხვა საკითხია, რომ უმაღლეს და პირველ ლიგებში (სათამაშო სახეობებს ვგულისხმობ) მინიმუმამდე შემცირდა ჩვენი სტუდენტური სპორტის წარმომადგენელთა რიცხვი. შემცირდა, ალბათ იმიტომაც, რომ გამოეცალა საყრდენი — სწორედ ის მასობრივი სტუდენტური სპორტი, რომელზეც წელან ბატონი ომარი ლაპარაკობდა....**

ნუგზარ ერაძე: რაკიღა დღეს სტუდენტურ სპორტზე ასე ვრცლად ვსაუბრობთ, თავდაპირველად უნდა ვაღიაროთ, რომ თავის დროზე ჩვენთან საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. სპორტში მოთხოვნები ერთბაშად გაიზარდა, ჩვენ კი სრულიად მოუმზადებელი შევხვდით ამ ამბავს. არც სახსრები გვქონდა, არც შესაფერისი კადრები, არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა... საერთოდ, სპორტული ბაზების რაოდენობით დღესაც ერთ-ერთ ბოლო ადგილზე ვართ საკავშირო მასშტაბით. ათეული წლები ისე გავიდა, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს ერთი სპორტული დარბაზი და მოედანი არ შემატებია. ეგ კი არა, ზოგან მოედნები ახალ სასწავლო კორპუსებს შეეწირა. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოსაც ფაქტიურად არაფერი გააჩნდა საკუთარი. ამ ოცი წლის წინ ერთადერთი საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბაზა გვქონდა სტუდენტებისათვის. დღესაც იგივე მდგომარეობაა... ამას წინათ ზაპოროჟიეში ვიყავი. სტუდენტებისათვის ისეთი უნიკალური და უზარმაზარი სპორტული კომპლექსი აუშენებიათ, პირდაპირ შეგშურდება კაცს. ახლა ჩვენც დავტრიალდით, რაღაც გავაკეთეთ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ზღვაში წვეთია... სპორტული ბაზების ნაკლებობა სტუდენტურ სპორტულ მოძრაობასაც ზღუდავს და ფიზიკურ აღზრდაში აკადემიურ მეცადინეობათა ნაყოფიერად წარმართვის საშუალებასაც არ იძლევა. ჯერჯერობით ისევ იჯარით თუ გავალთ ფონს, მაგრამ იჯარაც დამატებით წინააღმდეგობებს ქმნის.

როგორც ვთქვი, პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა. მაგალითად, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს მალე შეემატება სპორტული დარბაზი. შარშანწინ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა მიიღეს ორი დარბაზი და ტირი, ქუთაისელ პოლიტექნიკოსთათვის შენდება კომპლექსური სპორტული დარბაზი და სტადიონი, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში — სპორტული დარბაზი, გორში — საცურაო აუზი და ტირი. ღია საცურაო აუზები აშენდა თელავში. განზრახულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული კომპლექსის აშენება, სხვა უმაღლესი სასწავლებლების ბაზების გაფართოება.

დღეს პროფსაბჭოს დახმარების შედეგად „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოს ფინანსების საკითხი არ აწუხებს. ბოლო სამ წელიწადში თითქმის გაორმაგდა ჩვენი ბიუჯეტი. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებს ხმარდება, კარგა დიდ თანხას ვიხდით ბაზების იჯარისთვის. ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი უბანია სტუდენტური სპორტული შეჯიბრებების ორგანიზაცია-ჩატარება. ასეთი შეჯიბრებების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, შესაბამისად მატულობს მონაწილეთა კონტინგენტი.

აქ არ შევუდგები ყველა შეჯიბრების ჩამოთვლას. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ მასობრივი სტუდენტური სპორტული მოძრაობის ფართოდ გაშლისთვის სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული. გვინდა, რომ ამ მოძრაობაში ჩავაბათ მთელი რესპუბლიკის სტუდენტი ახალგაზრდობა. რა თქმა უნდა, მარტო „ბურევესტნიკი" ამ საქმეს ვერ გაწვდება, თუ მხარში არ ამოგვიდგნენ დაინტერესებული ორგანიზაციები, პირველ ყოვლისა — რექტორატები.

ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დავისახეთ რეზერვის მომზადება. ამ დროს ვითვალისწინებთ არა მარტო სტუდენტური სპორტის, არამედ მთლიანად ქართული სპორტის ინტერესებს. ვფიქრობ, ეს პოზიცია სწორია. სტუდენტური სპორტული დაოსტატების სკოლის საკითხი, ეტყობა, ჯერ მომწიფებული არ არის. აქ გადამწყვეტი სიტყვა ჩვენი საზოგადოების ცენტრალურმა საბჭომ უნდა თქვას. ადგილებზე სპორტული მუშაობა, როგორც ცნობილია, ძირითადად სპორტული კლუბების მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს. სამი წელიწადია დაიხურა სტუდენტური სპორტული კლუბების მიმდინარე ფინანსური ანგარიშები. ამან, ბუნებრივია, საგრძნობლად შეასუსტა მათი ქმედითუნარიანობა, მაგრამ სპორტკლუბების ნაკლებეფექტურობას მარტო ამ მიზეზით ვერ ავხსნით.

ვაჟა ქურდიანი: თავში უწყებრივ დაბრკოლებებზე გვქონდა საუბარი. სტუდენტური სპორტის ხელმძღვანელობაში ცალკეული მომენტები მართლაც დასაზუსტებელია, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ წინააღმდეგობებს ჩვენივე მოუქნელი, შეუთანხმებელი მუშაობაც უწყობს ხელს. თუ ერთმანეთს მხარს დავუჭერთ და ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, ამა თუ იმ საკითხის მოგვარებისას საერთო ინტერესებით ვიხელმძღვანელებთ, ამით საქმე მოიგებს. საქმე კი მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლოა — ჩვენი ახალგაზრდობის ჯანმრთელობას, მის ჰარმონიულ განვითარებას, ჩვენი სპორტის ინტერესებს ეხება. თავის დროზე დიდი შეცდომა იყო დაშვებული, როცა სტუდენტური სპორტული ბაზებისა და გამაჯანსაღებელი ბანაკების მშენებლობა თითქოს გაიყინა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მთელი სტუდენტური სპორტული მოძრაობა თითქმის ჰაერში გამოკიდებული დარჩა. დღეისათვის ერთ სტუდენტზე საშუალოდ 0,19 კვადრატული მეტრი სასწავლო-საწვრთნელი ფართობი მოდის. ასეთი მდგომარეობა არც ერთ სხვა რესპუბლიკაში არ არის. თითქმის ყველა ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი ქირაობს სპორტულ ბაზას. ეს მეტად წამგებიანი ფორმაა სასწავლო დაწესებულებებისათვის. მატერიალურ დანახარჯებს თავი რომ დავანებოთ, თვით ფიზიკური აღზრდის, ვარჯიშის ხარისხიც უარესდება. გამოსავალი ერთია: უნდა გამოვნახოთ ყველა საშუალება და გავაფართოოთ ჩვენი უმაღლესი სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უკვე იგრძნობა ამ საკითხებისადმი დაინტერესებული მიდგომა. უმაღლეს სასწავლებლებს მხარში უდგას ბევრი ორგანიზაცია, მათ შორის საქართველოს პროფსაბჭო, რომელიც ყოველწლიურად ზრდის ბიუჯეტს სტუდენტური სპორტისათვის. ახალი სასწავლო კორპუსები მაინც არ უნდა დაგვრჩეს სპორტული დარბაზებისა და ღია მოედნების გარეშე. ამის საშიშროება არსებობს; სტუდქალაქის ორ ახალ გიგანტურ კორპუსთან ასობით სტუდენტს პატარა მიწის ნაგლეჯიც არა აქვს სპორტისათვის, დარბაზზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... ჩემი აზრით, არ არის სწორი ფიზკულტურული მუშაობის ჩაშლისათვის მარტო ამ დარგის მუშაკებს რომ აკრიტიკებენ. სტუდენტთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მდგომარეობის გამო სრული პასუხისმგებლობა უნდა იგრძნონ რექტორატებმა, სასწავლებლების ხელმძღვანელმა ორგანოებმა. ეს მეტად პრინციპული საკითხია.

ჩვენი განყოფილება მზად არის კიდევ ერთხელ ყურადღებით შეისწავლოს სტუდენტურ სპორტთან დაკავშირებული საკითხები და აქტიური პრაქტიკული მონაწილეობა მიიღოს მტკივნეული პრობლემების გადაჭრაში. ოღონდ ჩვენვე ნუ შევქმნით პრობლემებს. აი, მაგალითად, როგორც აქ გაირკვა, საჭიროა სტუდენტური სპორტული შეჯიბრების ერთიანი, სტაბილური კალენდრის შემუშავება. საჭიროა, მაგრამ არა გვაქვს. მე მგონი, ასეთი კალენდრის შედგენა ძნელი არ უნდა იყოს. საერთოდ, ჩემი აზრით, ერთსულოვნება თუ იქნება, ჩვენი ძალები გვეყოფა იმისათვის, რომ სტუდენტურ სპორტში გაცილებით მაღალ დონეს მივაღწიოთ და ეს დონე შევინარჩუნოთ. იქნებ კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ სპორტის კონკრეტული სახეობების (ძირითადად სათამაშო სახეობების) ცალკეულ სასწავლებლებზე „მიმაგრების" საკითხს. ფაქტი ის არის, რომ ჩვენ რაციონალურად ვერ ვიყენებთ უმაღლესი სასწავლებლების შესაძლებლობებს დიდი სპორტის განვითარებისათვის.

ომარ გოგიაშვილი: სწორი ბრძანდებით. მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ, თუ სათანადო დახმარება იქნა, ფიზკულტურის ინსტიტუტს შეუძლია ორი-სამი წლის განმავლობაში შექმნას ძლიერი გუნდი სპორტის რომელიმე სახეობაში, ვთქვათ, ქალთა ხელბურთში, ან ქალთა ფრენბურთში. მაგრამ ამისათვის, პირველ ყოვლისა, აუცილებელია ფეხზე დავაყენოთ სპორტული კლუბი. რაც დღეს გვაქვს, იმას სპორტულ კლუბს ვერ ვუწოდებ. ამ კლუბს სახელის გარდა თითქმის არაფერი დარჩა საკუთარი. უნდა გამოინახოს დამატებითი საშუალებები კლუბებში საშტატო ერთეულების რაოდენობის გასაზრდელად, მათი ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

რობერტ შავლაყაძე: არასწორად მიმაჩნია, რომ სპორტული კლუბი გამოეყო ფიზიკური აღზრდის კათედრას, რომელსაც თავის დროზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა ერქვა. ბალტიისპირეთში, მაგალითად, ეს საკითხი კარგად არის მოგვარებული. იქ უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბი მთელ სპორტულ მუშაობას წარმართავს, შემოსავალიც აქვს და კათედრასაც ეხმარება. ჩვენთან სპორტულ კლუბში ერთადერთი კაცი მუშაობს, რომელიც თავმჯდომარეც არის, მდივანიც, კურიერიც და ვინ იცის, კიდევ რა არა. ერთი კაცი ამოდენა საქმეს ვერ გასწვდება, მით უმეტეს, თუ შეზღუდულ პირობებში უხდება მუშაობა. კადრების სიმცირე კათედრასაც მძიმე ტვირთად აწევს. ჩემს კათედრაზე, მაგალითად, თვრამეტი კაცი უნდა მუშაობდეს, სინამდვილეში კი სულ ათნი ვართ. კოლეგებისგან ვიცი, რომ სხვა ინსტიტუტებშიც ანალოგიური მდგომარეობაა. გვინდა კარგი მწვრთნელი მოვიწვიოთ, მაგრამ პირობებს რომ გაიგებენ, ახლოს არ გვეკარებიან, თენგიზ ხირხელიძეს ალბათ ყველა იცნობთ, ტყვიის სროლაში უკეთესი სპეციალისტი არ მეგულება საქართველოში. ერთ წელიწადს იმუშავა ჩვენთან და — „გაგვექცა". კათედრის შტატი სრული რომ იყოს, სპორტკლუბსაც გავამაგრებდით.

გიზო დოლიძე: სადავო არაფერია: სპორტულ კლუბებს უჭირთ თავიანთი ფუნქციის შესრულება, მაგრამ მე სხვაზე მინდა გავამახვილო ყურადღება. ჩვენ ვამბობთ, რომ სტუდენტ ახალგაზრდობას ფიზიკური წრთობისა და სპორ
ტოსტატებისთვის აუცილებ
ზა არ გააჩნია. მაგრამ ისიც
ვაღიაროთ, რომ ახალგაზრ
საკმაოდ მოზრდილ ნაწი
აქვს ფიზიკური კულტურ
ჯიშის, აქტიური დასვენების
ვნილება. დამეთანხმებით,
ლებ მნიშვნელოვანი როდია.
ინსტიტუტში, მაგალითად,
საშუალება, რომ ასე თუ
ვაკმაყოფილოთ ფიზკულტ
მეცადინეობის, ვარჯიშის
ლები, მაგრამ გაცილებით
მათი რიცხვი, ვისაც ამისი
ლი საერთოდ არა აქვს. სტ
რომ აკადემიურ მეცადინ
პუნქტუალურად დადის, ე
ლებითაც არ ნიშნავს,
ფიზკულტურელია. ფიზკულ
ლი ის არის, ვინც ნებაყოფ
ვარჯიშობს. ასეთები კი, ვ
ცოტანი არიან. ეს პრობლ
თქმა უნდა, სცილდება ერ
მელიმე ორგანიზაციისა თუ
ბის ფარგლებს. ოჯახი, სა
ბაღი, სკოლა, საშუალო და
ლესი სასწავლებელი...
ყველგან რაღაცას ვაკლებ
ზარდს. ბოლო ხანს მომ
მასობრივი ფიზკულტურულ
ნისძიებები. ეს კარგია,
ამ ღონისძიებას სერიოზუ
სამზადებელი მუშაობა უ
ლოდეს წინ. თორემ ზოგჯ
დენტები ნაძალადევად გა
შეჯიბრებაზე. ასე ფიზკულ
ვერავის შევაყვარებთ.

შემთხვევითი არ არის, რ
ნი სტუდენტების ფიზიკურ
დების დონე დაბალია.
ველკურსელებს ძალიან
ნორმატიული მოთხოვნებ
რულება, აკადემიური საა
ცხადია, საკმარისი არ არის
რვეზების გამოსასწორებლ
ყოველწლიურად ათას ო
მდე კომპლექსის ნიშნოსა
მოვამზადოთ. ამას გეგმა
წინებს, მაგრამ შესრულ
ჭირს. საქმე ის არის, რომ
ორმოცდაათი სტუდენტი
ლებმაც პირველი კურსი
უმრავლესობამ არ იცის
არ არის მზად კომპლ
მოთხოვნების შესასრულ
არადა, თავის დროზე თით
ლას ჰქონდა ჩაბარებული
ვები.

ვაჟა ქურდიანი: ჩვენ
დენტურ სპორტზე, ფიზკ
ზე ვსაუბრობთ, მაგრამ
საერთო მოძრაობისაგან
ბული არ არის. პირიქით,
სპორტის ორგანული შ
ლი ნაწილია. ამიტომ პრ
ბიც საერთო გვაქვს. თუ
ში, ტექნიკუმში ფიზიკურ
დის მექანიზმი გამართ
მუშაობს, ცხადია, ინსტი
ფიზიკურად გამოწრთობი
გაზრდობა არ გვეყოლება.
თელობის ცნობის გარ
ლეს სასწავლებელში არ
ბულობენ. მაშ როგორ ა
ფაქტი, რომ თითქმის ყო
ხუთი სტუდენტი სუსტი
ლობის მოტივით ფიზკუ
მეცადინეობისაგან განთა
ბას ითხოვს, ხოლო სტ

რედაქციისაგან:
ვფიქრობთ, თვალნათ
და სპორტის, ასე
იმის გამეორება, რომ
დენტური სპორტის
კითხი. მაგრამ, რო
რებს ორგანიზაციულ
პრაქტიკული ნაბიჯები,
ლტურასა და სპორტს
სპორტულ მოძრაობას

დისკუსიაში მონაწილეობენ:

ვაჟა ქურდიანი

დავით ბაინდურაშვილი

ნუგზარ ერაძე

ომარ გოგიაშვილი

რობერტ შავლ

ანდრო ზაზროევი

ელეგანტური ფეხბურთელი. თუ ვინმეზე შეიძლება ასე ითქვას, დარწმუნებული ვარ, უპირველეს ყოვლისა, ანდრო ზაზროევზე (ზაზროშვილზე). ალბათ, ელეგანტურ ფეხბურთელთა გუნდის შედგენაც შეიძლება. ჩვენც ვცადოთ: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა იამანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ ჭკუასელი, ვლადიმერ ბარქაია, ანდრო ზაზროევი, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი. ვიცი, რომ სუბიექტური ვარ. ალბათ, ბევრი ღირსეული, შეიძლება უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელიც დამრჩა გუნდის გარეთ. რა ვუყოთ, მარტო ტექნიკა და დიდოსტატური თამაში ხომ არ კმარა იმისათვის, რომ ელეგანტური იყო. ეს სულ სხვა კატეგორიაა, ესთეტიკური, ლამაზი ფეხბურთის ოსტატები, „მწვანე მინდვრის მხატვრებს“ რომ უწოდებენ. გავიხსენოთ ტყავის ბურთის ელეგანტურად ფლობის სხვა ოსტატებიც. სერგეი სალნიკოვი და კონსტანტინე კრიჟევსკი, კონსტანტინე ბესკოვი და ნიკიტა სიმონიანი, აგუსტინო გომესი და ალექსანდრე გულევსკი, ვიქტორ პონედელნიკი და იგორ ნეტო, ფიოდორ სელინი და ვიაჩესლავ სოლოვიოვი, ედუარდ სტრელცოვი და კონსტანტინე ბეგლარიანი, ანატოლი ბიშოვეცი და ვლადიმერ კოზლოვი...

ვისაც მათი თამაში უნახავს, შეიძლება დაგვეთანხმოს ან არ დაგვეთანხმოს იმაში, რომ ყოველი მათგანი ასეთ ეპითეტს იმსახურებს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ზაზროევს უკლებლივ ყველა აღიარებს ელეგანტურ მოთამაშედ.

ბურთთან ერთად არ დაბადებულა, მაგრამ ბურთთან ერთად კი გაიზარდა. ნაძალადევში ცხოვრობდა, სკოლაში დიდუბეში დადიოდა. იმხანად აქ ბურთის სათამაშო ადგილი ყოველ ნაბიჯზე იყო. 10 წლის ანდროს შეეძლო საათობით ეცქირა უფროსების თამაშისა და ვარჯიშისათვის „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მოედანზე. ყველაზე მეტად მაინც დოროხოვი მოსწონდა. თვითონაც მეკარეობაზე ოცნებობდა. თანგანწირულად ხტებოდა ბურთის დასაჭერად ასფალტის მოედანზე. მერე ბავშვების გუნდმა დიდუბის იპოდრომზე გადაინაცვლა, აქ შვიდი მოედანი იყო და კლასი კლასს გაუთავებლად ეჯიბრებოდა გამარჯვებულის გამოსარკვევად. მთელი ოთხი წელიწადი ითამაშა ასე, ერთხელ თავდასხმაშიც მოსინჯა ძალა: „რა კარგი ყოფილა სხვის კარში ბურთის გატანა!“.

მერვე კლასიდან საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში გადავიდა, უფრო იმიტომ, რომ იქ ჰყავდათ ნამდვილი გუნდი, რომელსაც ფიზკულტურის მასწავლებელი ძუკუ რუხაძე ედგა სათავეში. ახალბედა გასინჯეს და მაშინვე თავდასხმის ცენტრში დააყენეს — ტექნიკური იყო, სწრაფი და ორივე ფეხითაც კარგად ურტყამდა კარში.

ზეინკლის ხელობა შეისწავლა და სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მოსვლის დღიდანვე ქარხნის მესამე გუნდში ჩარიცხეს. ქალაქის პირველობაზე თამაშობდნენ მაშინ. მალე მეორე გუნდში გადაიყვანეს, მომდევნო სეზონში კი უკვე ქარხნის პირველი გუნდის ღირსებას იცავდა.

1943 წლის იანვარში 17 წლისამ საბჭოთა არმიის რიგებს მიაშურა, მტერს ბოლომდე მიჰყვა. ფეხბურთისათვის ფრონტზე ვის კი მოიცალა, — რა თქმა უნდა, მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი გამარჯვება უკვე ეჭვს აღარ იწვევდა. ქართული დივიზიის გუნდში ჩარიცხეს ცენტრალურ თავდამსხმელად. მომდევნო ორი სეზონის მანძილზე „ბ“ კლასში თამაშობდა.

1947 წლის მიწურულს მწვრთნელმა მიხეილ თუთქიამ ნიჭიერი ფეხბურთელი სოხუმის „დინამოში“ მიიწვია. მასთან ერთად თავდასხმის ხაზში თამაშობდნენ ისეთი ოსტატები, როგორიც იყვნენ იური გრამატიკოპულო, იური და ნიკოლოზ ვარდიმიადები, იური იოლჩიდი. გიორგი დიხამინჯია. წარმოიდგინეთ, კარში მისი ბავშვობის კერპი — თვით ალექსანდრე დოროხოვი იდგა. სახელგანთქმული ფეხბურთელი მაშინ 36 წლისა იყო და საფეხბურთო კარიერას ამთავრებდა. ბევრი რამ საგულისხმო შეითვისა მისგან ანდრომ.

გავიდა ცოტა ხანიც და შავიზღვისპირეთს ეწვია თბილისის „დინამო“, რომლის კარს უბადლო ვლადიმერ მარღანია იცავდა. ამხანაგურ მატჩში ზაზროევმა ორჯერ შეძლო მისი კარის აღება — სოხუმელებმა გაიმარჯვეს — 3:2.

და აი, თბილისში საქართველოს თასისთვის ბრძოლის ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „სპარტაკი“ და სოხუმის „დინამო“. სტუმრებმა მატჩი წააგეს (1:2) და სახლში დაღონებულნი დაბრუნდნენ. თასი თასად, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მათ „წაართვეს“ გუნდის ლიდერი ანდრო ზაზროევი. ახლა კი მიხვდნენ რას ეჩურჩულებოდა მათ ცენტრალურ თავდამსხმელს თბილისელი ვეტერანი ვიქტორ პანიუკოვი. ერთი სიტყვით, ანდრო ჟორდანიამ და ბორის პაიჭაძემ 23 წლის ფეხბურთელი თავიანთ გუნდში მიიწვიეს. ძნელი მისია ეკისრებოდა ახალგაზრდა სპორტსმენს — უნდა ეთამაშა ბორის პაიჭაძესთან ერთად და მის მაგივრადაც კი. „ფეხბურთის კარუზოს“ ის-ის იყო ფეხის მძიმე ოპერაცია გაიკეთა. ვილნიუსის „სპარტაკთან“ მატჩში თბილისელებმა თავდასხმის ახალი ცენტრი — ანდრო ზაზროევი გამოიყვანეს.

— ხუმრობა საქმე იყო? მარჯვნივ გაიოზ ჯეჯელავა და რეზო მახარაძე, ცენტრში — მე, მარცხნივ — ბასა ღოღობერიძე და სპარტაკ ჯეჯელავა — იხსენებს სპორტის დამსახურებული ოსტატი ანდრო ზაზროევი თავის პირველ გამოსვლას თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში. სავსებით გაამართლა ნდობა. ამ დღეს დინამოელებმა დიდი ანგარიშით — 5:1 გაიმარჯვეს. იერიშების მთავარი ორგანიზატორი გუნდის ახალბედა გახლდათ, ანგარიშიც ხომ მან გახსნა. ამას მოჰყვა შეხვედრა მინსკელ თანაკლუბელებთან (სტუმართა გუნდის კაპიტანი სპორტის დამსახურებული ოსტატი, შემდგომში ჰოკეისტთა ცნობილი მწვრთნელი არკადი ჩერნიშოვი იყო). ანდრო ამჯერად მარცხენა გარემარბად თამაშობდა დაშავებულ ს. ჯეჯელავას ნაცვლად. აქაც ისახელა თავი — კარგადაც ითამაშა და გოლიც გაიტანა გამოცდილ გოლკიპერის ბორის კოჩეტოვის კარში. ა. ზაზროევმა მტკიცედ დაიკავა ადგილი დინამოელთა ძირითად შემადგენლობაში, ისიც უნდა ითქვას, რომ ხან ცენტრში ათამაშებდნენ, ხან მარცხენა და ხანაც მარჯვენა ფრთაზე.



უიღბლო გამოდგა მისთვის მომდევნო, 1950 წლის სეზონი. მხოლოდ სამჯერ ითამაშა, მეოთხე მატჩში კი „ზენიტთან“ მუხლი ისე იტკინა, რომ მთელი წელიწადი იმკურნალა. მომდევნო სეზონში ა. ზაზროევი დაბრუნდა მშობლიურ გუნდში, მერე კი (1952-1955 წლებში) კიევის „დინამოში“ გადავიდა. აქ იგი გუნდის კაპიტნად აირჩიეს, 11 ბურთით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა (1952 წელს გათამაშება ოლიმპიადაში მონაწილეობის გამო ერთ წრედ ჩატარდა), 1953 წელს საკავშირო თასსაც დაეუფლა (ფინალში კიეველებმა ერევნის „სპარტაკს“ სძლიეს — 2:1), იყო ქვეყნის მეორე ნაკრების კაპიტანიც.

მომდევნო ორი სეზონის მანძილზე ისევ თბილისის „დინამოში“ თამაშობდა, მაგრამ დაშავდა და 32 წლისამ ფეხბურთის თამაში მიატოვა. „დინამოში“ ნი[illegible]ალგაზრდები მოვიდნენ [illegible]იმერ ბარქაია, მიხეილ მესხი, შოთა იამანიძე, გივი ჩოხელი, სერგო კოტრიკაძე — ისინი, ვინც ვეტერანის დიდი ხნის ოცნება აღასრულა — ქართველთა გუნდს ბოლოს და ბოლოს ქვეყნის ჩემპიონის სახელი მოუპოვა.

ცხადია, ანდრო ზაზროევს ფეხბურთის გარეშე თავი ვერ წარმოედგინა და მწვრთნელობასაც ამიტომ მიჰყო ხელი. იგი ჯერ 35-ე სკოლის უფროსი მწვრთნელი იყო. მერე თბილისის ბურევესტნიკელებს ავარჯიშებდა. 1959 წელს თბილისის „დინამოს“ მეორე მწვრთნელად დანიშნეს. მომდევნო წელს ისევ „ბურევესტნიკს“ დაუბრუნდა, ორი სეზონის მანძილზე თბილისის ფეხბურთის სკოლა-ინტერნატის უფროსი მწვრთნელი იყო. მერე გურჯაანის „ალაზნის“, დუშანბეს „ენერგეტიკის“, ორჯონიკიძის „სპარტაკის“ (ეს გუნდი უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა), გორის „დილას“, რუსთავის „მეტალურგის“, თბილისის „სპარტაკის“, „განთიადის“ ფეხბურთელებთან მუშაობდა. ერთხანს რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსიც იყო.

...ტექნიკური, საზრიანი, ელეგანტური ფეხბურთელი გახლდათ. ასეთებად სურდა ეხილა თავისი აღსაზრდელებიც, რომელთა ჩამოთვლა გვერწმუნეთ, შორს წაგვიყვანდა. რამდენიმეს მაინც დავასახელებთ: ვახტანგ რეხვიაშვილი, თეიმურაზ გრძელიშვილი, მალხაზ კობიაშვილი, ვალერი გაზაევი, ნიკოლაი ხუდიევი, ალექსანდრ იანოვსკი, ვლადიმერ ოლეინიკი, ალექსანდრ ბუბნოვი...

ოთარ ნოზაძე.



ევროპელ ფეხბურთელთა კარგი შესაძლებლობანი

ცნობილმა ბრაზილიელმა ფეხბურთის მწვრთნელმა ოტო გლორიამ ამას წინათ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ მექსიკის 1986 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი ერთგვარად განსხვავებული იქნება ადრინდელი ამგვარი შეჯიბრებებისგან. მედლების პრეტენდენტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, ეს კი იმითაა განპირობებული, რომ ფინალური ტურნირის მონაწილენი მეტად თუ ნაკლებად გათანაბრდნენ ტექნიკური თვალსაზრისით. ო. გლორიას აზრით საფრანგეთისა და დანიის გუნდებს ძალა შესწევთ სიურპრიზი შემოგვთავაზონ და ჩემპიონის წოდებისთვისაც იბრძოლონ. ევროპულმა ფეხბურთმა ბოლო ხანებში დიდ პროგრესს მიაღწია, რაც ამჟამად განისაზღვრება არა მარტო მოთამაშეთა საუკეთესო ფიზიკური მომზადებით, არამედ ბურთის ფლობის მაღალი ტექნიკითაც. სამხრეთ ამერიკის გუნდები, როგორც ყოველთვის, გამოირჩევიან ფეხბურთელთა ინდივიდუალური ღირსებებით. თუ კი მექსიკაში ისინი კოლექტიურად და სწრაფად ითამაშებენ, ყველანი ვიხილავთ ევროპული და სამხრეთ ამერიკული ფეხბურთის შესანიშნავ სპორტულ ბრძოლას.

ო. გლორიამ ხაზი გაუსვა, რომ ბრაზილიის ნაკრები ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჯერ მზად არაა მსოფლიო ჩემპიონატის საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის.

— ესპანეთის 1982 წლის ჩემპიონატის შემდეგ, — თქვა მან, — ბრაზილიის სპორტულ ხელმძღვანელებს წინადადებით მივმართე შეექმნათ ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა საერთაშორისო შეჯიბრებებში და სათანადო გამოცდილებასაც შეიძენდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყური არავინ დამიგდო. ბრაზილიაში ახლა რამდენიმე მეტად ნიჭიერი, კარგი ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ არც ერთ მათგანს ჯერ არ ჩაუცვამს ეროვნული ნაკრების მაისური, ნაკრებში თამაშის გამოცდილება კი, ისეთ ძნელ ტურნირში, როგორიც მექსიკაში იქნება, აუცილებლად საჭიროა.

ბრეიდის ნაცვლად კასაგრანდე

როგორც იტალიური პრესა იუწყება, 1986 წლის ზაფხულიდან მილანის „ინტერნაციონალი“ აღარ აპირებს ხელშეკრულების განახლებას ირლანდიელ ლიამ ბრეიდისთან. ამ ცნობილი ნახევარმცველის ნაცვლად გუნდი მოიწვევს ახალგაზრდა ნიჭიერ ბრაზილიელ ველტერ კასაგრანდეს, რომელიც ახლა ბრაზილიის „კორინტიანსში“ თამაშობს და ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მექსიკაში გამგზავრების ერთ-ერთ კანდიდატად ითვლება.

ჯენინგსი რეკორდს უმიზნებს

ვფიქრობთ, რომ ცნობილი მეკარე პატ ჯენინგსი, რომელმაც ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებში 113 მატჩი ჩაატარა, მალე გაასწრებს შვედ ბიორნ ნორდკვისტს (115 მატჩი) და ეროვნულ გუნდში ჩატარებული მატჩების რაოდენობით მსოფლიო რეკორდსმენი გახდება. თვით ჯენინგსს, რომელსაც ზაფხულში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა მოელის, მხოლოდ შვედის უკან ჩამორჩენა არ აინტერესებს. იგი ისე კარგად გრძნობს თავს, რომ ნაკრებში სულ მცირე, კიდევ ორ სეზონს მაინც დაჰყოფს. ჯენინგსს გადაწყვეტილი აქვს ეროვნულ გუნდში 125 მატჩი ჩაატაროს და „ასიანთა კლუბში“ ლიდერობა კარგა ხნით განიმტკიცოს

ხობში იშრიალებს „ოლიმპიური ჩემპიონის ხე“

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ცურვაში, ლენინგრადელი ვლადიმერ სალნიკოვი ავადმყოფობის გამო დიდხანს არ გაკარებია საცურაო აუზს. იგი მხოლოდ გამოჯანმრთელების შემდეგ დაუბრუნდა ცისფერ ბილიკს. და აი, დაუბრუნდა და პირველსავე საერთაშორისო შეჯიბრებაზე (400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში) ორჯერ იზეიმა გამარჯვება. დიახ, 1985 წლის მიწურულს ჰოლანდიის ქალაქ ხერტოგენბოშში გამართულ ევროპის თასის გათამაშებაში ვაჟთა შორის სალნიკოვი ერთადერთი გამარჯვებული საბჭოთა სპორტსმენი აღმოჩნდა.

ცურვის სპეციალისტები და ჟურნალისტები სიხარულით შეხვდნენ სალნიკოვის „ბრწყინვალედ დაბრუნებას“ და ოსტატობა და ვაჟკაცობაც შეუქეს მას.

როგორც ვიუწყებოდით, ვლადიმერი ჰოლანდიიდან მაშინ პირდაპირ ჩვენსკენ გამოემგზავრა, დიახ, იგი ხობში ჩამოვიდა და წლევანდელი სეზონისათვის მზადება იქ გააგრძელა. ერთი სიტყვით, სახელგანთქმული მოცურავე ჩვენს რესპუბლიკას მეორედ ეწვია.

საინტერესოა, რომ ხობში სწორედ იმ დღეებში გაიხსნა საზეიმოდ რუსთაველის სანაპირო. ხობის მოწინავე ადამიანებმა სანაპიროს გასწვრივ ხის ნერგები დარგეს. ხის დარგვის პატივი, როგორც საპატიო სტუმარს, სალნიკოვსა და მის მეუღლესაც ხვდათ წილად. სალნიკოვი ეწვია ხობელ მოსწავლეებს, მშრომელებს, რომელთაც მას თავიანთი ქალაქის ღირსშესანიშნაობანი დაათვალიერებინეს.

ჩვენმა სპეციალურმა ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა ფირზე აღბეჭდა ხობში სტუმრად მყოფი სალნიკოვი. მან სპორტსმენს მაშინაც გადაუღო სურათი, როცა იგი მეუღლესთან ერთად რუსთაველის სახელობის სანაპიროზე რგავდა ხეს.

მოკლედ

საინგილოში ამხანაგური მატჩი მოეწყო ფეხბურთში. ერთმანეთს შეეჯიბრნენ ქართული სოფლების — ალიბეგლოსა და ქოთოქლოს გუნდები. თამაშს ბევრი მაყურებელი დაესწრო. ქოთოქლოელებმა დიდი აღმავლობით იბრძოლეს და ანგარიშით 4:0 გაიმარჯვეს. თავი ისახელა ვალერი ჯანაშვილმა, რომელმაც სტუმართა კარში სამი ბურთი გაიტანა. ერთი ბურთიც რობიზონ ფიროსმანაშვილმა გაიტანა.

ილარიონ ჯანაშვილი.

მიმომხილველები იგონებენ, ადარებენ, კამათობენ

ფიდე-ს პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა თავის უკანასკნელ ინტერვიუში კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კარპოვ-კასპაროვის მატჩ-რევანში აუცილებლად 10 თებერვალს დაიწყება. მაგრამ სად? ჯერჯერობით საკითხი ასე დგას: მატჩი შედგება ან ლენინგრადში (საბჭოთა საჭადრაკო ფედერაციის წინადადებით), ან ლონდონში. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მატჩის მასპინძლობას კიდევ ბევრი ქალაქი მოისურვებს.

ამასობაში კი საზღვარგარეთის პრესა აგრძელებს საინტერესო მასალების ბეჭდვას ნოემბერში დამთავრებული ორთაბრძოლის შესახებ. საჭადრაკო მიმომხილველთა შორის ყველაზე ხნიერი, 82 წლის ჯორჯ კოლტანოვსკი, რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე ცნობილი ბელგიელი ოსტატი იყო, შემდეგ კი აშშ-ში დასახლდა, გაზეთ „სან-ფრანსისკო კრონიკლში“ გამოქვეყნებულ მიმოხილვაში წერს, რომ მოსკოვის მატჩი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და შინაარსიანი იყო მსოფლიოს პირველობისთვის ბრძოლის მთელი ისტორიის მანძილზე. ყურადღებას იპყრობს საჭადრაკო ჟურნალისტიკის ვეტერანის შემდეგი კატეგორიული განცხადება: „კარპოვ-კასპაროვის მეორე მატჩმა უფრო მეტად გაამდიდრა საჭადრაკო თეორია, ვიდრე ნებისმიერმა სხვა შეხვედრამ მსოფლიო პირველობაზე და შესაძლოა ერთად აღებულმა ყველა სხვა მატჩმაც კი“.

საყურადღებოა იტალიის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტის ნიკოლო პალადინოს შემდეგი განცხადებაც: „თუმცა ახალი სადებიუტო იდეების მთავარი გენერატორის როლში კასპაროვი გამოდიოდა, კარპოვმა, თავის მხრივ, სულ ცოტა სამჯერ, დებიუტში მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო მეტოქე, აიძულა იგი რთული პრობლემები გადაეწყვიტა“. იმავე „კორიერე დელა სერას“ (მილანის საღამოს გაზეთი) ფურცლებზე წერილი გამოაქვეყნა ხანდაზმულმა იტალიელმა დიდოსტატმა მარიო მონტიჩელმა, რომელიც ტურნირებში 20-30-იან წლებში თამაშობდა. აი, რას წერს იგი: „ეს იყო პრინციპული მატჩი, სადაც ორივე მეტოქე თავის შემოქმედებით პოზიციებს იცავდა და რომელშიც კასპაროვის გამომგონებლობამ და ფანტაზიამ კარპოვის ფხიზელ გამოანგარიშებებსა და უმაღლეს ტექნიკას სძლია“.

სტოკჰოლმის გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის“ საჭადრაკო მიმომხილველის, საერთაშორისო ოსტატ აქსელ ორნსტეინის აზრით, კასპაროვის წარმატება სრულიად კანონზომიერია, „22 წლის კასპაროვმა უკვე მოიხვეჭა შესანიშნავი თეორეტიკოსის რეპუტაცია. მან სიცილიური დაცვა გაამდიდრა მეტად საინტერესო ვარიანტით, რომელსაც მისი სახელი — „კასპაროვის გამბიტი“ ეწოდა. მისი დევიზია: „ინიციატივა უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე პაიკი!“, რომელმაც ყველაზე საპასუხისმგებლო შეხვედრებში გაამართლა კიდეც. ეს დევიზი ჭადრაკის წინაშე ახალ ჰორიზონტებს შლის სწორედ ისეთ დროს, როცა ზოგს სურს „დაუძლეველი დაცვის“ კულტიც კი შექმნას“. ორნსტეინის აზრით, თანამედროვეობის ორი ლიდერის მოჭადრაკის შეხვედრების ახალი „რაუნდი“, კერძოდ, მატჩ-რევანში, რომელიც თებერვალში უნდა დაიწყოს, მოჭადრაკეთათვის ნამდვილი დღესასწაული იქნება.

მიმომხილველები ხაზს უსვამენ როგორც კასპაროვის, ისე კარპოვის უაღრესად მაღალ ნებელობით თვისებებს, რკინისებურ ნებისყოფას და ამტანობას. საინტერესოა, რომ როდესაც მეორე მატჩის დაწყების წინ ცნობილმა საჭადრაკო მიმომხილველმა, ფიდე-ს ოსტატმა დიმიტრიე ბელიცამ ორივე მეტოქეს ერთი შეკითხვა დაუსვა: „როგორია თქვენი მთავარი „კოზირი“-ო, ორივესგან ერთნაირი პასუხი მიიღო: „ძლიერი ნებისყოფა!“

მათი ნათქვამი შემდეგ ბევრმა მიმომხილველმა გაიხსენა. აი, რას წერდა ცნობილი ექსპერტი, საერთაშორისო ოსტატი უილიამ ჰარტსტონი: „მატჩის მიწურულს ორივე მხარემ გამოიყენა ეს მთავარი „კოზირი“. მას შემდეგ, რაც თითქოსდა აშკარად დაღლილმა კარპოვმა მეცხრამეტე პარტია წააგო, იგი ურთულესი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა: იმისათვის, რომ მსოფლიო ჩემპიონობა შეენარჩუნებინა, უკანასკნელი ხუთი პარტიიდან 3,5 ქულა მაინც უნდა მოეგროვებინა. ამ მომენტში ყველას (მათ რიცხვში კასპაროვსაც) მატჩის ბედი გადაწყვეტილი ეგონა. არავინ ფიქრობდა, რომ კარპოვი კიდევ შეძლებდა ხელი გამოელო და აი, კარპოვმა მეტოქე ურთულესი ამოცანის წინაშე დააყენა. შემდეგ ჰარტსტონი განაგრძნობს: „მეორეს მხრივ, მას შემდეგ, რაც კასპაროვმა წააგო 22-ე პარტია, სადაც თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდა, და ვერ მოიგო 23-ე, თუმცა მისი პოზიცია აქ გაცილებით უკეთესი იყო, კარპოვისაგან, ალბათ, არავინ ელოდა ასეთ სიმამაცეს“.

ერთი სიტყვით, ექსპერტები ხაზს უსვამენ კასპაროვისა და კარპოვის საოცარ გამძლეობას, თავდაჭერის უნარს. აი, რას ფიქრობს ინგლისელი დიდოსტატი ჯიმ პლასკეტი: „მხოლოდ კიპლინგის ნაწარმოების სუპერმენებს თუ შეუძლიათ ასეთი თანაბარი თავდაჭერისა და სიმშვიდის გამოვლენა ტრიუმფისა და კატასტროფის პირობებში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ისეთმა ძლიერმა პიროვნებებმა, როგორებიც არიან კარპოვი და კასპაროვი, თავიანთი დიდი ღირსებები სწორედ გაჭირვებაში ჩავარდნილებმა გვიჩვენეს. ამას თავისი ლოგიკა აქვს, რადგან ტრიუმფის მოახლოება ნარკოზივით მოქმედებს. კასპაროვი საჭადრაკო დარტანიანად მოგვევლინა სწორედ მაშინ, როცა მისი საბოლოო წარმატება სათუო გახდა“.

პროფესიონალ საჭადრაკო მიმომხილველთა კამათში ჩაერია გამოჩენილი ფეხბურთელი, გფრ-ის ნაკრების წევრი და ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში ფელიქს მაგატი, რომელმაც თავისი აზრი გამოთქვა „ჰამბურგერ აბენდბლატის“ ფურცლებზე. მაგატს კარპოვ-კასპაროვის შეხვედრა ახსენებს... 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გამართულ გფრ-საფრანგეთის ნაკრები გუნდების უმძაფრეს მატჩს ფეხბურთში.

თავის მოსაზრებას გვიზიარებს ცნობილი იუგოსლაველი არბიტრი ბოჟიდარ კაჟიჩიც. კაჟიჩი, როგორც ცნობილია, ფიდე-ს აღმასკომის წევრი გახლავთ და 1969 წლიდან მოყოლებული მსოფლიო პირველობის ყველა მატჩს ესწრებოდა.

— მომდევნო ორ-სამ მატჩს მსოფლიო პირველობაზე, ჩემის ღრმა რწმენით, ისევ კასპაროვი და კარპოვი ითამაშებენ. მე ჯერჯერობით ვერავის ვხედავ ისეთს, ვისაც მათ კამათში ჩარევა ძალუძს. მომწონს არტურ იუსუპოვი, რომელსაც მაგარი ნერვები აქვს, ფიზიკურადაც შესანიშნავად არის მომზადებული, მაგრამ მას ყველაფერი წინ აქვს.

კაჟიჩმა განაცხადა, რომ კარპოვ — კასპაროვის პირველ მატჩთან დაკავშირებით პრეზიდენტმა კამპომანესმა პრინციპულად არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. მატჩი კი არ უნდა შეეწყვიტათ, არამედ ისე წარემართათ, როგორც რეგლამენტით იყო გათვალისწინებული. ორწლიან ციკლზე გადასვლამ ის გამოიწვია, რომ კასპაროვსა და კარპოვს შორის თებერვალ-აპრილში კიდევ ერთი, უკვე მესამე მატჩი გაიმართება, ნოემბერში კი ახალი შეხვედრაა დანიშნული. როდისღა უნდა მოემზადონ მოჭადრაკე, როდის მოასწრონ ლიტერატურის დამუშავება და ანალიტიკური მუშაობა?

საინტერესოა ცნობილი ინგლისელი მიმომხილველის ბერნარდ ვუდის დაკვირვებები, რომელიც მან ყოველკვირეულ „ილუსტრეიტიდ ლონდონ ნიუსში“ გამოაქვეყნა:

— კასპაროვის თამაშის სტილი ახლა ისეთივე ცვლილებას განიცდის, როგორც 30-იანი წლების ბოლოს პაულ კერესის სტილმა განიცადა. 1939 წელს, როცა კერესს აღიარებდნენ, როგორც თავბრუდამხვევი ტაქტიკური გართულებების ოსტატს, მიხეილ ბოტვინიკმა პირველმა მიაქცია ყურადღება სულ სხვა რამეს. მისი აზრით, ესტონელი დიდოსტატი (რომელიც, სხვათა შორის, მაშინ იმ ხნისა იყო, რა ხნისაც ახლა კასპაროვია), უპირველეს ყოვლისა, უაღრესად ღრმა პოზიციური მოჭადრაკე იყო. ზუსტად იგივე ახლა კასპაროვზე შეგვიძლია ვთქვათ: კასპაროვის შეტევა, კომბინაცია და შეწირვა პოზიციის ღრმა შეფასებას ემყარება.

რაც შეეხება კარპოვს, ვუდის აზრით, იგი კასპაროვს ახლაც აღემატება ენდშპილში, რასაც სხვა მიმომხილველებიც აქცევენ ყურადღებას.

ერთი სიტყვით, მიმომხილველები კასპაროვის და კარპოვის თამაშის სხვადასხვა ასპექტზე ამახვილებენ ყურადღებას და განსაკუთრებული ინტერესით მოელიან მათ ახალ შეხვედრას, რომლის დაწყებამდე დიდი დრო აღარ რჩება.

ოტავა. ახალგაზრდა ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე ახალი წლის პირველ დღეს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გუნდი დაამარცხა — 4:3. ამ დღეს კანადელებმა ფინელ ჰოკეისტებს აჯობეს — 6:5. მერე კი ასპარეზობის ცენტრალური მატჩიც გაიმართა. საბჭოთა ნაკრებმა კანადის გუნდ დაამარცხა — 4:1 (1:1, 1:0, 2:0) და მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

ნიუ-იორკი. ცსკა-ს ჰოკეისტებმა საზღვარგარეთული ტურნეს მორიგ მატჩში „სენტ-ლუის ბლიუზის“ სპორტსმენები დაამარცხ — 4:2 (1:1, 2:0, 1:1).

ავტოსპორტ

პარიზი. ვერსალის სასახლის წ ძველებურ მოედანზე სტარტი მიეცა პოპულარულ ავტორალის პარიზი — დაკარი, რომელშიც 1500-მდე სპორტსმენი, ავტომოყვარული და მძღოლი-გამომცდელი მონაწილეობს. მოასპარეზეთა შორის არის ფრანგი კოსმონავტი ჟ.-ლ. კრეტიენიც. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფრანგული ეკიპაჟები საბჭოთა მარკის ავტომანქანებით — „ნივებით“ გამოდიან. რალის მონაწილენი სამი კვირის განმავლობაში საფრანგეთის, ალ რის, ნიგერიის, მალის, გვინეის, მ ვრიტანიისა და სენეგალის ტერიტორიაზე გაივლიან.

ფრენბურთ

შანხაი. ჩინეთის ფრენბურთელმა ქალებმა მეორე მატჩიც მოუგ მსოფლიოს ნაკრებს — 3:2. ფრენბურთის ვარსკვლავებისგან შემდგარ გუნდში საბჭოთა სპორტსმენებიც ელენა ჩებუკინა და ანა კაჩალოვა გამოდიოდნენ.

პეკინი. ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა რუბენ აკოსტამ (მექსიკა) დაასახელა ქალთა 13 გუნდი, რომლებ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში გ მართულ მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებენ. ეს გუნდებია: ჩინეთი, პერუ, აშშ, იაპონია, კუბ სსრ კავშირი, სამხრეთ კორეა, ნადა, კსდრ, გდრ, ბრაზილია, ტ ნისი და ჩეხოსლოვაკია. სამი რჩენილი ვაკანსიისთვის 11 ყანა იბრძოლებს. ეს საკვალიფ კაციო ტურნირი 3-11 მაისს რო ში მოეწყობა.



ცენტრალური ტელევიზია. 4 იანვარი. დილის ტანვარჯიში — 9.00; ჯანმრთელი რომ იყ — 9.30 (2); საჭადრაკო სკოლ — ოსტატობის გაკვეთილებ — 10.35 (2); სტადიონი ყვე ლასთვის — 15.45 (2); მსოფ ლიო თასი სამთოსათხილამურ სპორტში — 20.20 (2); სსრ კ ვშირის ჩემპიონატი კალათბ რთში: „დინამო“ (მოსკოვი) — „სტროიტელი“ (კიევი) — 21.1 (2).

საკავშირო რადიო. 4 ია ვარი. დილის ტანვარჯიში — 6.15 და 7.15.

საქართველოს რადიო. იანვარი. დილის ტანვარჯიში 6.23; სპორტის მოყვარულთათვ — 13.30; სსრ კავშირის ჩემპი ნატი კალათბურთში: „დინამ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ნინგრადი) — 21.15.

რედაქტორის მოადგილ
თ. გაჩეჩილა

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ო დენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფ ტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 08